

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: *2025 წლის 30ოქტომბრიდან 2026 წლის 1 ოქტომბრამდე*

მალვინა ბურძენიძე

2026 წელი

1. პირადი ინფორმაცია

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: მალვინა ბურძენიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი 30.10.2025 წლიდან

არჩევის წესი: პროპორციული

თანამდებობის დასახელება: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - **კომისიის თავმჯდომარე**

ფრაქცია: ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი

კომისიის წევრობა: ახალციხის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის წევრი.

,,ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს“ წევრი.

სამცხე-ჯავახეთის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ქალთა ორგანიზაციის მდივანი.

2. შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს ჩემს მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ საქმიანობას ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) შესაბამისად.

3. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

დასახელება	სხდომების რაოდენობა	დასწრება
ახალციხის მუნიციპლიტეტის საკრებულოს სხდომა	17 სხდომა	17
ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“	3 სხდომა	3
ახაციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია	5 კომისიის სხდომა	5
ახალციხის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისია	9 კომისიის სხდომა	9
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური“ საბჭო	1 საბჭოს სხდომა	1

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოსა და კომისიების მუშაობაში. ქვემოთ მოცემული მონაცემები ასახავს ჩატარებული საკრებულოს და კომისიის სხდომების დინამიკას და მათზე ჩემი დასწრების სტატისტიკურ მონაცემებს.

4. კომისიის სააქმიანობა საანგარიშო პერიოდში

როგორც კომისიის თავმჯდომარემ საანგარიშო პერიოდში ვუზრუნველყავი კომისიის 5 (ხუთი) სხდომის მომზადება და ჩატარება, მათ შორის 1 (ერთი) კომისიის სხდომა ჩატარდა ერთობლივად ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასთან. კომისიის სხდომებზე განსახილველად გავიტანე შემდეგი საკითხები როგორიცაა:

- „ახალციხის მუწიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.
- „ახალციხის მუწიციპალიტეტის პერსონწალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცება“.

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ახალციხის მუნიციპლიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ“.
- წმინდა შალვა ახალციხელის მონუმეტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქაწდაკების) განთავსების თაობაზე საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ .
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტისა და ახალციხის მუნიციპლიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ“.
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ; (ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ვარლამ წიკლაურის 22.01.2026 წლის მომართვა N12-1226022105)“.
- „ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებული გუნდების, მუსიკისა და ხელოვნების დარგში წარმატებული მოსწავლეების, მათი პედაგოგებისა და მუსიკალური გუნდების 2026 წლის ფინანსური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე ; (ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის ვარლამ წიკლაურის 22.01.2026 წლის მომართვა N12-1226022105)“.

აგრეთვე ახალციხის მუნიციპალიტეტის **საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ** მოისმინა 2 (ორი) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ანგარიში.

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის ციხის“ 2025 წლის საქმიანობის ანგარიში
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის” დაწესებულების მიერ 2025 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენის შესახებ

კომისიის მიერ განხილულ ყველა საკითხზე მოვამზადე შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შემდგომ განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინა ბიუროს და საკრებულოს სხდომას

5. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომებზე განხილული და მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობიის შესახ. (განკარგულება: გ-13; 1325310001)

- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების მიმოხილვისა და შეფფასების შესახებ (განკარგულება გ-13; 13252822)
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N 51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. (განკარგულება: გ-13: 132532840)
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის „ახალციხის მინიციპალიტეტის ტრანსპორტი“ - სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (ა(ა)იპ ტრანსპორტი) (განკარგულება: გ-13: 13253282)
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (და ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვის შესახებ).
- ახალციხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.
- ახალოლციხის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლლის 30 მაისის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის

დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ (განკარგულება: გ-13: 13260863)

- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ.
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 11 ივნისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 მაისის №32 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
- ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე(ა9ა)იპ კავშირი ,,თანადგომა შვილებს'')
- „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50-ე განკარგულებაში ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე''
- ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

6. მოქალაქეებთან შეხვედრები

საანგარიშო პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა მოქალაქეებთან შეხვედრები და მათი საჭიროებების მოსმენა და შესწავლა. გარდა ჯგუფური შეხვედრებისა,რეგულარულად ხორციელდებოდა ინდივიდუალური შეხვედრები. მოქალაქეთა მიერ დასმული საკითხების მოგვარების მიზნით ხორციელდება შუამდგომლობა შესაბამის თანამდებობის პირებთან და საჭირო სტრუქტურულ ერთეულებთან.

მოქალაქეებთან შეხვედრებისას იკვეთება შემდეგი სახის ძირითადი საკითხები;

- სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები
- ინფრასტრუქტურა და სხვა.

7. საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრის მონაწილეობა ტრენინგებში, საზოგადოებრივ კულტურულ და ოფიციალურ ღონისძიებებში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში როგორც საკრებულოს წევრი და კომისიის თავმჯდომარე დავესწარი საინფორმაციო შეხვედრებს. სამხარეო და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელ პირებთან ერთათ აქტიური მონაწილეობა მივიღე მუნიციპალიტეტის მაშტაბით გამართულ სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში:

- შეხვედრა, სახალხო დამცველის აპრატის სამცხე-ჯავახეთის ოფისის წარმომადგენელთან თემაზე: აზბეტი -„ფარული საფრთხე ადამიანის უფლებებისთვის“ გარემოს დაცვა და წყლის უფლება“
- სამსახურის ხელმძღვანელობასთან ერთათ პატივი მივაგე ეროვნულ გმირთა ხსოვნას და მონაწილეობა მივიღე ოფიციალურ ღონისძიებებში: 9 აპრილის, დამოუკიოდებლობის დღის (26 მაისი), აგვისტოს ომის, სოხუმის დაცემის და ფაშიზმზე გამარჯვების 81-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.
- ჩართული ვიყავი სახალხო დღესასწაულებში, მათ შორის: „ახალციხელობა 2026“, გასტრონომიული ფესტივალი „გემოფესტი“, ტურისტული სეზონის ოფიციალურ გახსნასა და ოჯახის სიწმინდის დღისადმი მიძღვნილ მსვლელობაში.

წარდგენის თარიღი: 30.10.2026 წ

ჩაბარების თარიღი: 19.10.26წ

ხელმოწერა: ვ. ნუჩბენია